დიპლომატიური კონფერენციის დამატებითი რეზოლუცია დიზაინის სამართლის შესახებ რიადის ხელშეკრულებასა და მის საფუძველზე მიღებულ რეგულაციებზე

მიღებულია რიადში 2024 წლის 22 ნოემბერს

1. ხელშეკრულების მიღებისას, დიპლომატიურმა კონფერენციამ დაადასტურა, რომ სიტყვები „პროცედურა უწყების წინაშე“, რომელიც მოცემულია 1(viii) მუხლში, არ მოიცავს სასამართლო პროცედურებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

2. მე-16 მუხლის მიღებისას, დიპლომატიურმა კონფერენციამ დაადასტურა, რომ პრიორიტეტის მოთხოვნაში შესწორების ან დამატების შეტანისას 16(1) მუხლის შესაბამისად, მიზანშეწონილია, რომ ხელშემკვრელმა მხარემ, რომელიც ითხოვს მტკიცებულებას 4(1)(vii) მუხლის შესაბამისად, დაუშვას ამ მტკიცებულების წარდგენა სულ მცირე იმ ვადის ფარგლებში, რომელიც დადგენილია 12(2) წესით გათვალისწინებული მოთხოვნის შეტანისათვის.

3. მე-17, მე-18 და 21-ე მუხლების მიღებისას, დიპლომატიურმა კონფერენციამ დაადასტურა, რომ ეს დებულებები არ უშლის ხელს უწყებას მოსთხოვოს ლიცენზიის მხარეებს, ან 21-ე მუხლის შემთხვევაში, უფლების მფლობელს ან ახალ მესაკუთრეს, წარმოადგინონ ინფორმაცია, ამ ხელშემკვრელი მხარის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სხვა უფლებამოსილი ორგანოს, მაგალითად, საგადასახადო ან ფინანსური (სავალუტო) ორგანოს მიერ გამოყენების მიზნით.

4. 17(4), 18(3) და 21(6) მუხლების მიღებისას, დიპლომატიურმა კონფერენციამ დაადასტურა, რომ ეს დებულებები არ გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ ხელშემკვრელმა მხარემ, რომელსაც აქვს მომიჯნავე სამრეწველო დიზაინების სისტემა, მოითხოვოს მომიჯნავე რეგისტრაციების შესახებ კოლექტიური მოთხოვნის წარდგენა მისი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

5. დიპლომატიურმა კონფერენციამ დაადასტურა, რომ 3(2) წესის არც ერთი დებულება არ უნდა იქნეს განმარტებული, როგორც ხელშემკვრელი მხარის ვალდებულება დაიცვას ნაწილობრივი სამრეწველო დიზაინები.

6. იმ შემთხვევაში, როდესაც ხელშეკრულებასა და რეგულაციებში ვადები გამოითვლება თვეებით, ხელშემკვრელ მხარეს შეუძლია ერთი თვე მიიჩნიოს 30 დღიან პერიოდად, გარდა მე-7, 26-ე და 30-ე მუხლებისა და მე-9 წესისა.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო
საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა
თარგმანთა ბიურო
სარეგისტრაციო/REGISTRATION № 04151/1-26
თარიღი/DATE 1.05.2026
დამოწმებულია/CERTIFIED BY
Ministry of Foreign Affairs of Georgia
TRANSLATION BUREAU
of International Agreements of Georgia